გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 62
2020 წლის 12 ივნისის

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 66.51.08.279) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიას 2020 წლის 12 მარტს №5239 განცხადებით მომართა ფ/პ ელგუჯა მახარაშვილმა (პ/ნ 59001097562), რომელმაც მოითხოვა გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ მერეთში მდებარე მიწის ნაკვეთის ს/კ 66.51.08.279 და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის აღნაგობის ფორმით გადაცემა 49 წლის ვადით. განცხადებაში აღნიშნულია, რომ მიწის ნაკვეთზე აშენდება მეცხოველეობის ფერმა, რომელიც გადაცემის შემთხვევაში დასრულდება 2 (ორი) წლის ვადაში, განხორციელდება 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ინვესტიცია და დასაქმდება 10 პირი.

გორის მუნიციპალიტეტს მიწის ნაკვეთის ს/კ 66.51.08.279 რაიმე მიზნით გამოყენება არ აქვს დაგეგმილი, ხოლო მისი აღნაგობის ხელშეკრულებით გაცემის შემთხვევაში გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შეივსება შესაბამისი თანხით. ამასთანავე გორის მუნიციპალიტეტს შეემატება კიდევ ერთი ობიექტი, სადაც დასაქმდება სულ ცოტა 10 პირი.

აუდიტორული კომპანიის შპს „აუდიტეკონომიქსის" მიერ 2020 წლის 24 თებერვალს წარმოდგენილი №გრ–15 „უძრავი ქონების შეფასების ანგარიშით" მიწის ნაკვეთის ს/კ 66.51.08.279 ფართობით 3200,00 კვ.მ. საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 25 920 (ოცდახუთი ათას ცხრაასოცი) ლარით, ხოლო მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 8 917,46 (რვაათას ცხრაას ჩვიდმეტი ლარით და 46 თეთრი).

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, სოფელ მერეთში არსებული 3 200 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთი ს/კ 66.51.08.279 და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა გაცემული იქნას პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით, რისთვისაც საჭიროა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის,

ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად, განისაზღვროს ქონების საწყისი საპრივატიზებო ფასი და საწყისი ყოველწლიური ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა" და „დ.დ" ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით გასცეს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3 200კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.51.08.279 და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა, ფართობით 404,42 კვ.მ. (სოფელ მერეთში არსებული) სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით, 30 წლის ვადით.

2. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 3 200 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ს/კ 66.51.08.279 (სოფელ მერეთში არსებული) საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს 25 920 (ოცდახუთი ათას ცხრაასოცი) ლარით, ხოლო მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის, ფართობით 404,42 კვ.მ საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს 8 917,46 (რვაათას ცხრაას ჩვიდმეტი ლარით და 46 თეთრი).

3. აღნაგობის საწყისი საზღაურის წლიური საფასური განისაზღვროს 2 400 (ორიათას რვაასი) ლარით.

4. აუქციონის პირობად განისაზღვროს შემდეგი:

ა) მიწის ნაკვეთზე განხორციელდეს სულ ცოტა 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ინვესტიცია. 1 (ერთი) წლის გასვლის შემდეგ, აღნაგობის უფლების მქონემ, გორის მუნიციპალიტეტის მერიაში, წარმოადგინოს აუდიტის დასკვნა განხორციელებული ინვესტიციების ოდენობის შესახებ. აუდიტორის მომსახურების საზღაური გადაიხადოს „აღნაგობის უფლების მქონემ".

ბ) მოახდინოს არსებული შენობის რეაბილიტაცია.

გ) მეცხოველეობის ფერმა და დამხმარე ნაგებობები აშენდეს და დანიშნულებისამებრ დაიწყოს ფუნქციონირება 2 (ორი) წლის ვადაში.

დ) ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ობიექტზე დასაქმებული იყოს საქართველოს მოქალაქე –10 პირი, რაც დადასტურდება სსიპ შემოსავლების სამსახურიდან წარმოდგენილი დოკუმენტით. აღნიშნული დოკუმენტი აღნაგობის უფლების მქონემ უნდა წარმოადგინოს წელიწადში ერთხელ.

5. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

6. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე.